ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ანგლისტიკა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში MA in English Philology
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. რეზო მარსაგიშვილი, პროფ. პაატა ჩხეიძე
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში, თუმცა უპირატესობა მიენიჭებათ შემდეგი სფეროების კურსდამთავრებულებს: ჰუმანიტარული მეცნიერებები (ნებისმიერი მიმართულება - 022-023), სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისიტიკა და ინფორმაცია 03, განათლება 01. უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge რუბრიკაში ”მიღება”.	
პროგრამის მიზნები	

ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური ანგლისტი-ფილოლოგის მომზადება, რომელსაც ექნება ინგლისური ენის, ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერებისა, ლიტერატურისმცოდნეობის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის საფუძველზე შეძენილი სისტემური და სიღრმისეული ცოდნა.

საბაკალავრო პროგრამისაგან განსხვავებით, სადაც აქცენტი კეთდება ინგლისური ენის როგორს სისტემის სტრუქტურულ კომპონენტებზე და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპებზე დიაქრონულ ჭრილში, სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ენის პარაგმატიკულ-კომუნიკაციური ასპექტებისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ცალკეული ჟანრების შესახებ ანგლისტი-ფილოლოგის სიღრმისეული ცოდნით აღჭურვას.

ამ ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს დარგში არსებული აქტუალური საკითხების/პრობლემების კვლევას, მათ შორის მშობლიურ ენასთან და ლიტერატურსათან მიმართებაში, თანამედროვე მეთოდოლოგიების და მიდგომების გამოყენებით.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

1. ავლენს სიღრმისეულ ცოდნას სხვადასხვა ლინგვისტური სკოლებისა და მიმდინარეობების მიერ შემუშავებული თანამედროვე კონცეფციებისა და მოდელების შესახებ;
2. შეუძლია განსხვავებული ტიპის ინგლისურენოვანი ტექსტების პრაგმატიკული, სტრუქტურულ-სემანტიკური, სტილისტიკური ანალიზი და ინტერპრეტირება;
3. შეუძლია დეტალურად დაახასიათოს და შეაფასოს ინგლისურენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპები შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში;
4. შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული მთავარი თეორიების და კონცეფციების კლასიფიცირება, შეფასება და კრიტიკული ანალიზი;
5. გამომუშავებული აქვს ინგლისურიდან ქართულ ენაზე დარგობრივი ტექსტების თარგმნის ძირითადი კომპეტენციები;
6. ფლობს ინგლისურ ენას C1 დონეზე.
7. შეუძლია თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად იკვლიოს ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერების, ინგლისურენოვანი ლიტერატურისა ან თარგმანის თეორიის აქტუალური საკითხები, მათ შორის მშობლიურ ენასთან და ლიტერატურასთან შეპირისპირების საფუძველზე, განავითაროს ინოვაციური მიდგომები და ახალი, ორიგინალური იდეები;
8. ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებული აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამაგისტრო ნაშრომს და წარუდგენს დარგის სპეციალისტებს და/ან არასპეციალისტებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
9. ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს; აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.

პროგრამის სტრუქტურა

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ელექტრონული და შერეული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;

- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდიც, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

სწავლების მეთოდები

აკადემიური ხარისხის, ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში, მოსაპოვებლად პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, შემდეგი სქემით:

<u>პროგრამის სტრუქტურა:</u>

1. სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
2. სავალდებულო-არჩევითი კურსები - არანაკლებ 42 კრედიტი;
3. არჩევითი კურსები - არაუმეტეს 18 კრედიტი;
4. სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალ ური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სქემით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში;
- შეუძლია წარმართოს მთარგმნელ-თარჯიმნის საქმიანობა;
- შეუძლია ჩაერთოს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითსა და კულტურულ პროექტებში;
- საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში;,
- სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში;
- ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებებში;
- პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლა შეუძლია განაგრძოს სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
● უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი; ● ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი; ● შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი; ● სალექციო აუდიტორიები; ● ბიბლიოთეკა მისი მუდმივად განახლებადი უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდით, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ლექსიკონებით, აუდიო-ვიზუალური მასალით; ● უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ; ● E-learning , Turnitin; ● საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები.